სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ირაკლი შვანგირაძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**17**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**88**	**100**

შემფასებელი:

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
თარიღი : 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის
კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე
კანდიდატის - **ირაკლი შვანგირაძის** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - ირაკლი შვანგირაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ირაკლი შვანგირაძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ირაკლი შვანგირაძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მის შესახებ გამოთხოვილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი

მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპ-ლინური სამართალწარმოების შესახებ. ირაკლი შვანგირაძის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან მიღებული იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვა. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ირაკლი შვანგირაძის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის დროს უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისება.

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის**</u> მახასიათებლის თაობაზე, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, მოვა-ლეობების და პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას და სხვა დადებით მახასიათებლებს. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ირაკლი შვანგირაძეს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ის ასრულებს ჯეროვნად. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის გამო დაკის-რებული ჯარიმები ირაკლი შვანგირაძეს გადახდილი აქვს დროულად.

<u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს**</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდე-ბელ და მიუკერძოებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ მას შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, გამოირჩევა ზეგავლენის მიმართ მედეგობით.

რაც შეეხება, კანდიდატის პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი შვანგირაძე არ იყო რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>**პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ირაკლი შვანგირაძე გაწონასწორებულია, მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, კორექტული და თავაზიანი. ამასთან, გავითვალისწინე, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლი-ნური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაციით დასტურდება, რომ ირაკლი შვანგირაძე დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. ამასთან, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

<u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის**</u> მიხედვით რეკომენდატო-რები და გამოკითხული პირები კანდიდატის პიროვნულ თვისებებსა და პროფესიულ მიღწევებს აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული

ინფორმაციის თანახმად, კანდიდატ ირაკლი შვანგირაძის შესახებ ინტერნეტში ინფორმაცია იძებნება მის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ირაკლი შვანგირაძე აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ ღონისძიებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოიკვეთა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შეესაბამება სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ ირაკლი შვანგირაძე, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ირაკლი შვანგირაძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, როგორებიც არის: სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>**სამართლებრივი ნორმების ცოდნის**</u> მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: ირაკლი შვანგირაძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი. მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 80/16. რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - 4;

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით,
- ირაკლი შვანგირაძემ წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 94 ქულა;
- ადმინისტრაციული სამართალში მას აქვს კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში. ასევე, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამო-

ტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მსმენელი თავაზიანი და გაწონასწორებული ადამიანია. ყოველთვის გამოირჩეოდა ტაქტიანობით და არასოდეს გასცდენია ეთიკის ნორმებს. აღსანიშნავია მისი ორგანიზებულობის უნარი და თანმიმდევრულობა. დავალებების დიდი რაოდენობის შემთხვევაში, შეუძლია ეფექტიანად მოახდინოს მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა და გადანაწილება. რეკომენდებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

- სამოქალაქო სამართალში ირაკლი შვანგირაძე კარგად იყენებს მოქმედ კანონმდებლობას სადავო სამართალურთიერთობის გადასაწყვეტად, მარტივად ახდენს სადავო საკითხების იდენტიფიცირებას და სწორად იყენებს სამართლებრივ ნორმებს. აქვს კარგი უნარი სტრუქტურულად და ლაკონურად გადმოსცეს აზრი. აქვს ორგანიზებულობის უნარი და თანამიმდევრულობა. მას შეუძლია დავალებების დიდი რაოდენობის შემთხვევაში, ეფექტიანად მოახდინოს მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა და გადანაწილება. ირაკლი ძალიან გაწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანია, ახალ ინფორმაციას და მასალას ადვილად ითვისებს და აანალიზებს. სტაჟირების პერიოდში იყო კომუნიკაბელური, ყურადღებიანი, ის ყოველთვის გამოირჩეოდა ტაქტიანობით და არასოდეს გასცდენია ეთიკის ნორმებს. არის თავმდაბალი და ზრდილობიანი.

- სისხლის სამართალში ირაკლი შვანგირაძეს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, ასევე არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობა. ირაკლი შვანგირაძეს ადვილად შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. ირაკლი შვანგირაძე არის შრომისმოყვარე, ორგანიზებული პიროვნება და მასზე დაკისრებულ სამუშაოს ხარისხიანად ასრულებს. თავის გადაწყვეტილებებში არის სწრაფი და დამაჯერებელი. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 3 დეკემბერს, ირაკლი შვანგირაძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა, რა დროსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა მას დაუსვეს ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები.

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ ირაკლი შვანგირაძე კარგად ფლობს საქართველოს სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს, ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. მანვე წარმატებით გაართვა თავი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან დასმულ შეკითხვებს. აღსანიშნავია, რომ ირაკლი შვანგირაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

საბოლოოდ, მიმაჩნია, რომ ირაკლი შვანგირაძე კარგად იცნობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატმა დასმულ შეკითხვებზე გასცა დასაბუთებული პასუხები, თითოეულ საკითხზე მისი მსჯელობა იყო არგუმენტირებული.

<u>კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ირაკლი შვანგირაძეს აქვს პირველი ინსტანციის სასამართლოში, პროკურატურის სისტემაში და ადვოკატად მუშაობის გამოცდილება. ამასთან, იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის მიხედვითაც „ირაკლი შვანგირაძეს შესწევს უნარი საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. ასევე, წერილობითი დოკუმენტი ზედმიწევნით და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს. ირაკლი შვანგირაძის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით." ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რესპოდენტებისაგან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ მას აქვს პროფესიული კუთხით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები არგუმენტირებული და დასაბუთებულია. საჯარო მოსმენის შედეგის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კანდიდატის მსჯელობა სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო დასაბუთებული და თანმიმდევრულია.

კანდიდატის **<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის</u>** შეფასებისას ძირითადად გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის თანახმად „ირაკლი შვანგირაძის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით. მას სავსებით შესწევს უნარი საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. პროექტების წერისას შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები, თუმცა საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს. ირაკლი შვანგირაძეს შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. სამართლებრივი შეფასებების გაკეთებისას მან უნდა განავითაროს აკადემიური მსჯელობის უნარი."

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ ირაკლი შვანგირაძე წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის საუკეთესო უნარი. ის მეტყველებს გამართულად, აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში დადებითად აფასებენ კანდიდატს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და ლოგიკურად გადმოცემა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციისას. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი ლოგიკურად და არგუმენტირებულად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დაცვის უნარი.

<u>პროფესიულ თვისებებთან</u> მიმართებით ირაკლი შვანგირაძე ხასიათდება როგორც ორგანიზებული და თანმიმდევრულობის უნარის მქონე ადამიანი. მას აგრეთვე აქვს დიდი რაოდენობით დავალებების შემთხვევაში პრიორიტეტების განსაზღვრისა და გადანაწილების უნარი. კანდიდატი გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. როგორც უკვე აღვნიშნე, მან საჯარო მოსმენაზე არგუმენტირებულად და დასაბუთებულად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

<u>აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

ირაკლი შვანგირაძეს ჩაბარებული აქვს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის, პროკურატურის მუშაკთა, ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები.

<u>პროფესიული აქტივობის</u> მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ ირაკლი შვანგირაძეს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, მათ შორის: სასამართლოს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტი - USAID GEORGIA; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარების ტრენინგი - საქართველოს მთავარი პროკურატურა და აშშ-ს საელჩო; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია და არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა - საქართველოს მთავარი პროკურატურა; ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა - საქართველოს მთავარი პროკურატურა და სხვა. აქვე აღვნიშნავ, რომ კანდიდატს პროფესიული საქმიანობის პერიოდში მიღებული აქვს სპეციალური წოდებები. სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისთვის კანდიდატის მიმართ გამოყენებული იქნა წახალისების ფორმა.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულია მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ ირაკლი შვანგირაძის მიერ დაგროვილი ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს **88** ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი: 09.12.2024